

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გივის ქუჩაზე, ივ. ამირაძის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გივის ქუჩაზე, ივ. ამირაძის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографш. Въ редакцію газ. „Дროна“.

გაზეთის ფასი: თელავში—8 მან., ნეკერძელში—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლად

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: დღიური—1 კაპ., ასო-მთავრულით—1 კაპ., წიგნებისათვის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი, 28 ოქტომბერს.** ბილდ-გოლში კანკეტზე ლორდ ბაკონს ფილდმა წარმოასთქვა შემდეგი სიტყვა:

„არავითარ მტერს არ შეუძლიან ინდოეთში შესვლა; მაგრამ შეუძლიან საქმეები აგვირიოს იქ.“ შემდეგ ბაკონს-ფილდი აცხადებს იმედს, რომ ენერგიულის და მარჯვე მოქმედებით ჩვენ შეგვიძლიანო ყველა საქმეები რაგიაანათ მოვათავსოთო. ბაკონს-ფილდი იცხადებს იმ პირობას, რომელიც ინგლისმა და ოსმალეთმა შექმნეს ერთმანეთში და რომლის ძალითაც ინგლისმა ძაბროსის კუნძული მიიღო. „ინგლისმა ძაბროსის თხაულობს, განაგრძო შემდეგ ბაკონს-ფილდმა, რომ ბერლინის ტრაქტატი ყველამ ბეჯითაც შეასრულოს. თუ საჭიროება მოითხოვს, მართებლობა მიმართავს ინგლისის ხალხს და მოიწვევს იმას, რომ ყოველის ღონისძიებითა და ენერგიით დაიცვას ეს ტრაქტატი“.

**პენა, 28 ოქტომბერს.** „პოლიტიკური პორტფოლიო“ ამბობს, ტყუალია, რომ ვითომც ინგლისსა და ავსტრიას შუა თანხმობა ჩამოვარდნილიყო იმის თაობაზედ, რომ ერთად მისცენ რუსეთს წინადადება ოსმალეთთან თავის ჯარები გაიყვანოს.

**პეზი, 28 ოქტომბერს.** იპკრატორი ძრანც-ნოსიჩი გამოსცემს მანიფესტს, რომლის ძალითაც ებატებათ დანაშაული ბოსნიისა და ჰერცეგოვინის იმ მაზრების აჯანყებულებს, რომელნიც ამჟამად ავსტრიის ხელ-ქვეით არიან. ეს მანიფესტი ადგილობრივ ხალხს გამოეცხადება.

## სამართველო

დღიური

\* არავინ არ სარგებლობს ისე ძალაქში დიდძალი ხალხის მოგროვებით, როგორც ჩვენი სასტუმროების პატრონები; განსაკუთრებით ნეტარებაში არიან „ლონდონის“, „პავკისა“ და „მეროპის“ პატრონები. თითო უბრალო, პატ-

რა ოთახში, რომელშიაც ადრე მანეთსაც არავინ აძლევდა, ახლა ორ-სამ-ოთხ მანეთს იღებენ; სულ უბრალო სადილი რომ სჭამო ამ სასტუმროებში, ორ-სამ მანეთ ნაკლებად ვერ დაისვამ. ერთმა მღვდელმა „ლონდონის“ სასტუმროში გვითხრა ჩვენ, რომ ერთ ღერს სტერიის სანთელში, რომელსაც მხოლოდ ერთის თითის დადებაზე თავი წაუწყო, ორი აბაზი გადამხდევინესო. თუ მოგონებთ, რომ გირვანქა (ოთხი ღერი) ამისთანა სანთელი ახლა ექვს შაურად და ორ კაპიკად იყიდება ქალაქში, თუ მოგონებთ, რომ თითქმის ყველაფერს ამისთანა მამასისხლის ფასი დაადევს ჩვენმა სასტუმროების პატრონებმა, მაშინ წარმოიდგენთ—თუ სადამდინ მიაღწევს იმათი უსინიდილობა.

ჩვენ ძალიან გვაკვირვებს ის გარემოება, რომ, თუმცა ამ საგანზე ძალიან ბევრი ითქვა ადგილობრივს გაზეთებში, მაგრამ არც ძალაქის გამგებამ და არც პოლიციამ ამას სრულიად არაფერი ყურადღება არ მიაქცია.

\* \* \* ჩამდენისამე თფილისეღის სომხისაგან გაევიგონეთ ჩვენ სამღუავეი თავიანთ შკოლებზე იმის გამო, რომ ამ შკოლებში იმათ შეილებს ქართულ ენას სრულიად არ ასწავლიანო. ჩვენი შეილები აქ იცხოვრებენ, აქ იმოქმედებენ, ჩვენი საეპრო დაეთრები სულ ქართულად გვაქვსო და ქართული ენა თითქმის სხვა ყველა ენაზე უფრო გვეჭარებო.

\* \* \* ამას წინათ „დროებაში“ იყო გამოცხადებული, რომ ბრიტანის ბიბლიის საზოგადოება ქართული სამღეთო წიგნების დაბეჭდვას აპირებსო. ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ საზოგადოებას უკვე გარდაუცია სტამბისათვის ერთის დასაბეჭდათ: სახარება, ღვეთნი და სამოციქულო, რომელნიც ამ იანვრადინ სულ მზად იქნებიანო.

\* \* \* ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. ივანე ძერესელიძე—ადრინდელი „სასკრის“ რედაქტორი—აბეჭდინებს თავის ლექსთა

კრებას, რომელშიაც მოყვანილი იქნება ყველა ლექსები, რაც კი ჩემს 1854 წლიდან ვიდრე 1876 წლამდინ დაუწერია. ამბობენ, ეს ლექსთა კრება ამ დღეებში გამოვაო.

უფ. ივანე ძერესელიძეს რამდენიმე ჩინებული ლექსი აქვს და ამის გამო იმის ლექსთა კრების გამოსვლა სასიამოვნოდ მიგვაჩნია.

\* \* \* მოგვხსენებთ, რომ გასულ კვირას „ალექსანდროვის ბაღში“, აქაური და თელავის საქალგო წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ, ლატარია-ალგერი იყო გამართული. დიდძალი ხალხი დაესწრო ამ ლატარიაზე და ამბობენ, რომ ხსენებულ სასწავლებელთ სასარგებლოდ უკანასკნელი 1500 მანეთამდინ შემოვიდაო.

## თეატრი

„ქოჩ დანდენი“ და „ჟვანი შარჟვანგის ფტოპით“

პარასკევს, ღვინობისთვის 27-ს, ნემეცების კლუბში ქართულ სცენის მოყვარეთა წარმოდგინეს პიესები: „ქოჩ დანდენი“—კომედია სამს მოქმედებად, თხზ. მოლლიერისა, ფრანკუზულიდამ ნათარგმნი თ. ზ. მუშანიშვილისაგან და „შევი ფარშევანგის ფრთებით“—ვოდევალი ერთს მოქმედებად, გადაკეთებული უ. მ. აბაშიძისგან.

პირველად წარმოდგინეს „ქოჩ დანდენი“, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა გამოცდილ მოთამაშეებმა (ერთი ქალის გარდა, რომელიც პირველად ენახეთ ჩვენ სცენაზე), და ამიტომ უფრო იმედო გვექონდა, რომ პიესა კარგად წასულიყო; მაგრამ ეს ჩვენი იმედო ცოტა არ იყო გაცრუვდა და პიესამ ჩაიარა ცივად. რას უნდა მივაწეროთ ეს პიესის და ნათარგმნის ბრალია, თუ თვითონ მოთამაშეებისა? ჩვენის ჰაზრით, ორივესი, რაც შეეხება თარგმნას, მართალია, ის არის ბევრგან სუსტი; ენა არის ბევრგან უფრო წიგნური; ამისთანა პიესები უნდა იყოს ნათარგმნი უფრო ცოცხალი სახალხო ენით, როგორცაა, მაგალითად, ზოგი სხვა მოლლიერის პიესებში. მრასაკვირველია, ეს ნაკლებეფანება რომ არ

ჰქონდა, პიესა უფრო ცოცხლად წავი-  
ლოდა. მაგრამ ესვე პიესა და ესვე ნა-  
თარგმნი, როგორც ამბობენ, მუთისში  
ბევრით უკეთესად უთამაშნაოთ. მასასა-  
დამე, მოთამაშეების ბრალიც უნდა  
იყოს.

ჰორე ღანდენსა თამაშობდა უ. მ.  
აბაშიძე. თუც იმას არ გაუფუჭებია  
როლი, მაგრამ, როგორც ჩანდა, არა  
ჰქონდა კარგად ნაგრძობი თავისი რო-  
ლი; ეს ეტყობოდა ლაპარაკზე და მიხე-  
რა-მოხერხებზე. ნუთუ ესეთი უნდა ყო-  
ფილიყო მოლიერის ჰორე ღანდენი?  
მრთი ნაკლულეობაც შეეძინა იმას ამ  
როლში: ამ სცენის მოყვარეს ჩვეულებ-  
ბად გახდომია რაღაც უადგილო და  
უაზრო შორის-დებულების ხმარება, მე-  
ტადრე დასაწყისში. საზოგადოდ უ. მ.  
აბაშიძე თამაშობს მშვენიერად თავ-  
ჩარიანი ახალგაზრდის როლს, როგორც  
ითამაშა მსტატეს როლი თავის პიესაში.

პლიტანდრი, თ. ნოდ. ჰორჯაძე, ვერც  
ლაპარაკით და ვერც მიხერხებით  
ვერ წარმოგვიდგენდა ახალგაზრდა შეყვ-  
არებულს. იმისი წყნარი ლაპარაკი და  
ხმა გვიმტკიცებს, რომ იმას შეუძლია  
კარგად თამაში მოხუცებულის როლისა,  
როგორც ჰქონდა პირველ გამოცვლაზე.

უ. ნ. ავალიშვილმა (დე სოტანვილმა,  
ჰორე ღანდენის სიმამრმა) რიგიანად  
წარმოგვიდგინა მედიდური მოხუცებუ-  
ლი, რომელიც ამპარტავნობს თავის ჩა-  
მომავლობით. მაგრამ უნდა ესტყვათ,  
რომ იმდენი თავის და თითის ქნევა კი  
მომეტებული იყო.

ჩვენი ჰაზრით, უმჯობესი იქნებოდა  
ამ აქტიორებს რომ უფრო სხვანაირად  
დაერიგებინათ როლები. მაგალითად,  
ჰორე ღანდენის როლი რომ ეელო უ.  
ავალიშვილს, რომელიც მშვენიერად  
თამაშობს სხვა მოლლიერის პიესებში;  
აგრეთვე სჯობდა გაეცვალათ როლები  
აბაშიძეს და ჰორჯაძეს.

ქნა ბ. ავალიშვილს კარგად ითამაშა  
ანჟელიკა, ახალგაზრდა, მცბიერი ცოლის  
როლი, რომელსაც უყვარს სხვა და რო-  
გორც უნდა, ისე ათამაშებს ქმარსა.  
სოტად რომ უფრო ცოცხლად წარ-  
მოედგინა მესამე მოქმედებაში ის სცენა,  
როდესაც თავის ქმარს ელაპარაკება  
ფანჯარასთან, უმჯობესი იქნებოდა. ამ  
ადგილს ასე გონია კითხულობდა და არ  
ლაპარაკობდაო.

შველაზე კარგად ითამაშეს მოსამსა-  
ხურების როლები უფ. შინიაშვილმა  
და საფაროვისამ, მეტადრე ამ ბოლო-  
დელმა ითამაშა მშვენიერად, თუ მხედ-  
ველობაში მივიღებთ, რომ იმისი სცენა-  
ზე გამოცვლა პირველი იყო. ძარგად გამო-  
ვიდა ის სცენა, როდესაც უშნო და მემიტი  
ლიუბინა უცხადებდა თავის სიყვარულს  
პლოდინას, ეშმაკობით საესეს გოგოსა.

სცენის ცუდ მომართულობამ ბევრი  
ავნო ამ პიესის რიგიანად წარმოდგენას.  
ამისთანა პიესისთვის უმჯობესი სცენა  
საჭირო.

მ. აბაშიძის ვოდვეილი უფრო ცოც-  
ხლად აღასრულეს, რადგან აქტიორებმა

კარგა იცოდნენ თავიანთი როლებსა.  
ძალიან ბევრი გვაცინა განსაკუთრებით  
თვითონ აბაშიძემ. ახალ მოთამაშეებ-  
თაგანში ყველაზე კარგი იყო უ. ძუხანაი-  
ძე; ვერც დანარჩენ მოთამაშეებზე ვიტ-  
ყვით ცუდს, როგორც შეეფურებათ ახალ  
აქტიორებს ისე თამაშობდნენ..

თვითონ ეს ვოდვეილი თითქმის სრუ-  
ლიად უაზრო, უმნიშვნელო პიესაა.

ძართულ გალობაზე უნდა ესტყვათ,  
რომ პირველი, რომელიც ამ ერთი თვის  
წინათ გავიგონეთ, ბევრად სჯობდა; ახა-  
ლი სიმღერა, რომელიც პირველად იმ-  
დერეს სცენაზე, საეკლესიო გალობას  
უფრო ჩამოგავდა, ვინემც სახალხო სიმ-  
ღერას.

ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო. ამ  
წარმოდგენაზე ისე რომ ბილეთები აღარ  
დარჩა გასასყიდი და, როგორც გავიგე  
მოთავეებისგან, ბევრს, რადგან ბილეთი  
ვერ ეშოვათ, ფული მიეცათ და ფეხზე  
მდგომი უყურებდნენ.

მა გვიმტკიცებს ჩვენი საზოგადოების  
თანდათან ესტეტური გრძობის გახს-  
ნას და საპუდამო ტრეპის მოთხოვნი-  
ლებასა, რომელზედაც არის ამჟამად  
ლაპარაკი. იმედია, რომ აქტიორებიც  
ეცდებიან მაშინ ამ მოთხოვნილების  
დაკმაყოფილებას და ხალხიც მუდამ იე-  
ლის ხალისიანათ, თუ ვეცადეთ და გვე-  
ღირსა ამ საქმის სისრულეში მოყვანა...

ს. ბურჯაძე

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ნემენცურს გაზეთს „პრესსში“ იწე-  
რებიან ბოლგარიიდან:

„საოსმალო ბოლგარიის აჯანყებულ-  
თა მთავარი კვარტირა არის ქალაქი  
აიუსტონდილი, სადაც მოგროვილი არი-  
ან განდგომილების ყველა მოთავეები და  
საიდამაც ყოველი ბრძანება გამოდის.  
მუდამ დღე მოდიან აქ ბოლგარიის  
გლეხები და აჯანყებულების რიცხვი  
იწერებიან. ბერძნებიც ძალიან ბევრი  
შეუერთდნენ ამათა. ოსმალეთის მთა-  
ვრობა ამათ დასამშვიდებლად სალონიკ-  
სა და სერესს შუა აგროვებს სამოც ბა-  
ტალიონს ჯარს, რომლიც უფროსადაც  
სალი-ფაშაა.“

— ინგლისის და საფრანგეთის ელჩებს  
ურჩევიათ ხონტქრისათვის, დანიშნოს  
უცხო ქვეყნების ბანკირებისა და ფინან-  
სისტებისაგან შემდგარი კომისია და  
მიანდოს იმათ ისეთი საშუალების მო-  
ძებნა, რომ ოსმალთს ფულს თან-და-  
თან არ აკლდებოდეს ფასი. აქობენ,  
ხონტქარმა უარი სთქვა ამ წინადადება-  
ზედაო.

— რუსის ე.ჩ.ს თ. ლობანოვ-როს-  
ტოვსკის ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონია  
მთავარ ვეზირთან და უჭტკიცებდა თურ-  
მე იმას, რომ ბოლგარიისა და მაკედო-

ნიის აჯანყებაში რუსეთი არავითარ მო-  
ნაწილეობას არ იღებდნენ, ეს უკლებილებს  
ხალხსაო და სხვ. გიგლიორთიკა

## ინგლისი

ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მი-  
ნისტრს მარკის სალისბერის გაუგზავნია  
მეროპისუმთაერეს სახელმწიფოებისთვის  
ნოტა რომელშიაც შესჩივის იმაზედ  
რომ რუსეთმა დაარღვია ბერლინის  
ტრაქტატი და მეროპამ ამას ყურადღება  
უნდა მიაქციოსო. სალისბერი ამბობს,  
რომ, ბერლინის ტრაქტატის ძალით,  
რუსეთს მხოლოდ 50,000 კაცი უნდა  
დაეტოვებინა ბოლგარიაში; მაგრამ ახლა  
ამაზედ ბევრად უფრო მომეტებული  
ჰყავსო; რუსეთმა ისევ მიუახლოვა თავის  
ჯარი სტამბოლსაო და ამას გარდა ის  
სთხოვს ოსმალეთსაო, რომ რაღაც ახა-  
ლი პირობით შეეკრასო. შველა ამ გარე-  
მოებას, სალისბერის ჰაზრით, შეუძლიან  
მეროპის მშვიდობიანობის დარღვევა.

## საბერძნეთი

ზაზ. „ათინის მოამბეში“ იწერებიან,  
რომ საბერძნეთის ხალხი ძალიან გაბრა-  
ზებული არის ოსმალეთზე და აქ ყვე-  
ლა დარწმუნებული არიანო, რომ, თუ  
ოსმალეთმა არ დაუთმო საბერძნეთს  
ის მიწები, რომელიც ბერლინის კონგ-  
რესმა დაუთმო იმას, მაშინ უეჭველია,  
ამ ორ სახელმწიფოს შუა ბრძოლა  
მოხდებაო.

# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით  
აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის  
ნოემბრის 10-ს გამგეობის თანდასწრე-  
ბით დანიშნულია მხოლოდ ერთი ვა-  
ჭრობა იმ საქალაქო სარიული ად-  
გილის გახიდავაზედ, რომელიც შეი-  
ცავს ას ორმოც-და-ჩვიდმეტ ოთხ-კუთხ  
საყენ მიწას და რომელიც მდებარებს  
ქალაქის მე-II განყოფილების მე-15 უჩა-  
სტკაში ლინენის ბატალიონის ყაზარ-  
მების მახლობლად.

(3—2)

თიანეთის უაფდში თ. ნიკო ჰაქე-  
ვადის მამულის გვერდით, ისუი-  
ღება მამული სულ 700  
დენიანთინა, რომელიც შე-  
იცავს სახნავ-ათეს ადგილს, ტყეს, საწის-  
ქილეს ადგილს (იორზე).

შ.სისა და აგრეთვე უფრო დაწვრილე-  
ბული გარემოების შეტყობა და მამუ-  
ლის პლანის ნახვა შეიძლება „დროე-  
ბის“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე,  
სახლს № 8.

(10—9)